ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 6 მარტის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 6 მარტის სხდომის ოქმი N3.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შ.პ.ს "ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 2 მარტის N24-2423061162 წერილი.

4. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 6 მარტის N24-242306542 წერილი.

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 თებერვლის N24-2423053103 წერილი.

6. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე-კომისიის მიერ მომზადებული პროექტი

7. **დასკვნა N1**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შ.პ.ს "ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

8. **დასკვნა N2**-საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

9. **დასკვნა N3**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

10. **დასკვნა N4**-„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ქ. ზუგდიდი **6 მარტი 2023 წელი**
14:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შ.პ.ს "ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N3

ქ.ზუგდიდი **6 მარტი 2022 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 6 მარტს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა. **სხდომას ასევე ესწრებოდა: კონსტანტინე კაკავა**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; **ბესიკ ჭეჟია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; **მალხაზ თორია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე; **ლაშა ადეიშვილი**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფგრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი; **ეკატერინე კიფაია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულისაქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე; **ირაკლი ბაღათურია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **ნატალია შეროზია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **დარიკო არქანია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **თამარ ჭიჭინაძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **ხათუნა შამუგია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; **ირაკლი სორდია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე; **ლაშა ბეჭვაია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე; **თენგიზ მამფორია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე; **ბესიკ გაბუნია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე; **მარიამ ახალაია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი; **მ.ს** - მოქალაქე.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ----------

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 16 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ

სარგებლობის უფლებით შ.პ.ს "ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423061162 მომართვა (რეგისტრაციის N12-252306112-25 2.03.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შ.პ.ს "ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" პუნქტის „დ.გ" ქვეპუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 615-622 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის,

ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 2 მარტის N24-2423061162 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული სატრანსპორტო საშუალება - (FORD TRANSIT TREND 350L ს/ნ WF0KXXTTRKNT13414, რეგ.ნომერ SO001CI ნარჩენი საბალანსო ღირენულებით-160998.79 ლარი; FORD TRANSIT TREND 350L ს/ნ WF0KXXTTRKNT13470, რეგ.ნომერ SO002CI ნარჩენი საბალანსო ღირენულებით-160998.79 ლარი; FORD TRANSIT TREND 350L ს/ნWF0KXXTTRKNU52467 რეგ.ნომერ SO003CI ნარჩენი საბალანსო ღირენულებით-163737.14 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვაოდოდ სარგებლობის უფლებით გადაცეს შპს „ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტს“.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „საუბარია 3 (სამი) ერთეულ მიკრო ავტობუსზე შშმ პირთა ტრანსპორტირებისთვის. ზუგდიდში ინერგება ახალი სოციალური პროგრამა და შეიძლება ითქვას ეს არის სოციალური ტაქსი, რომელიც გადმოგვეცა ამერიკის შეერთებული შტატების ევროპული სარგებლობის ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ თქვენთან ერთად დავამუშავეთ შშმ პირებში მობილობის უზრუნველყოფის პროგრამა, დაახლოებით ერთ მანქანას შეუძლია მოემსახუროს ეტლით მოსარგებლე სამ ადამიანს. შერჩეულია კვალიფიციური მძღოლები, რომელთა გადამზადება მოხდა წითელი ჯვრის დახმარებით, რომ მათ ეტლით მოსარგებლე ადამიანებს გაუწიონ შესაბამისი დახმარება ტრანსპორტირების თვალსაზრისით. აღნიშნული სამი ავტობუსი, რომ იყოს ექსპლუატაციაში ამას სჭირდება პასუხისმგებელი პირი, სწორედ ამისთვის უნდა გადავცეთ “ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტს“. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, ჩვენ ათი მარტიდან შევძლებთ ამ სერვისის მიწოდებას ჩვენი მოქალაქეებისთვის.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო კონსტანტინე მაინტერესებს, რამდენს შეადგენს ხარჯი 3 (სამი) ერთეული მიკრო ავტობუსის ღირებულების.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „დასახელებული 3 (სამი) ერთეული მიკრო ავტობუსის ღირებულების თანხა შეადგენს 507 000 (ხუთას შვიდი ათასი) ლარს.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „აღნიშნული ოდენობის თანხით საქართველოს და ჩვენს მუნიციპალიტეტს ამერიკელი ხალხი დაეხმარა, რომლის განსახორციელებლად, საკითხი დადებითად შევაფასეთ და ამას მხარი დაუჭირა პარტია „ქართული ოცნებისგან“ გამოყოფილ „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა ბატონ ბეჟან შანავამ, შესაბამისად მაინტერესებს დღეს რა პასუხს გასცემს ჩემს კითხვას, რადგან მთავრობის მიერ შემუშავებული კანონით ისინი იგულისხმებიან, როგორც უცხოური გავლენის აგენტები. ბატონო ბეჟან არიან თუ არა ეს ადამიანები უცხოური გავლენის აგენტები? აქვე მოგახსენებთ, რომ ამ კანონის უარყოფაზე ევროპის 27 ქვეყნის ელჩმა მოგიწოდათ, რადგან აღნიშნული კანონი არის მათთვის მიუღებელი, რის შემდეგაც ისინი შეწყვეტენ ყველა სახის დახმარებას, რადგან ეს არის რუსული კანონი.“

აზრი გამოთქვეს: ბეჟან შანავამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, ჩვენ აღნიშნული კანონის არც შემქმნელი გახლავართ და არც წარმდგენი, შესაბამისად არ არის მიზანშეწონილი კომისიის სხდომაზე ამ საკითხის განხილვა. ამას განიხილავს ვენეციის კონვენცია, სადაც გაიგზავნება ეს კანონპროექტი. ცნობისთვის ვენეციის კონვენციაში განხილულ კანონს არ შეიძლება უწოდო რუსული.

აღნიშნულ კანონპროექტს დარბაზში მოჰყვა ხმაური. ქალბატონი მაია კალანდიას მხრიდან ისმოდა შეძახილი „თქვენ პუტინის მონებო“, რის შედეგად ბეჟან შანავას არ მიეცა შესაძლებლობა პასუხი გაეცა დასმულ კითხვაზე, რაზედაც კონსტანტინე კაკავამ მაია კალანდიას მიმართა, როცა კითხვას დასვამს ვალდებულია პასუხიც მოისმინოს, სხვა შემთხვევაში მისი ქმედება ზღუდავს განსხვავებულ აზრს და არის ფაშისტური.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მეგობრებო, მესმის ის ემოციები, რაც ამ კანონთან არის დაკავშირებული, მაგრამ თუ ჩვენ მართლა გვინდა მოვისმინოთ კომისიის წევრების მოსაზრებები აღნიშნულ კანონ-პროექტზე, ბუნებრივია ერთმანეთს უნდა მოვუსმინოთ. ჩემი მოსაზრებით ცალსახაა, რომ აღნიშნული კანონი დღეს არ უნდა განიხილებოდეს საქართველოს პარლამენტში, რად იგი არ ემსახურება გამჭვირვალობას.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არა აქვთ სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 16

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3 (სამი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო თხოვების ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით შპს “ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 6 მარტს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია N24-242306542 (რეგისტრაციის N12-25230659-25 6.03.2023წ), რომელიც შეეხება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტები დანართის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ბატონო კონსტანტინე, მაინტერესებს ჩამონათვალში რატომ არ არის ასახული ალერტკარში, ნატო ვაჩნაძის ქუჩაზე გზის საფარის მოწესრიგება რკინის ცხაურებით და სოფელ ჯიხაშკარში სობოგის უბანში მოსაცდელის რეაბილიტაცია, რომელზედაც შეხვედრაზე, სადაც თქვენ იმყოფებოდით იყო პირობა, რომ გაკეთდებოდა.“

აზრი გამოთქვეს: ჯონი ჯიქიამ აღნიშნა: „ბატონო დავით, რაზეც თქვენ საუბრობთ, რა თქმა უნდა გასაკეთებელია, მაგრამ წარმოდგენილ დოკუმენტში ჩამოთვლილია სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მოსახლეობის მიერ შერჩეული საკითხების ნუსხა, რომელიც მოსახლეობის გადაწყვეტილებით პრიორიტეტული იყო.“

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ მოსახლეობის მხრიდან შეიძლება ძალიან ბევრი პროექტები იყოს ინიცირებული, რომლის განსახორციელებლად ზოგჯერ გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი. სწორედ ამიტომ ტარდება სოფლის საერთო კრება, სადაც მოსახლეობის მიერ შერჩეული, პრიორიტეტული პროექტები უნდა დაფინანსდეს, რომელიც ასახულია წარმოდგენილ დოკუმენტში.

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ბატონო დავით, წარმოდგენილი პროექტის დაკორექტირება შეუძლებელია, მაგრამ ინფრასტრუქტურის სამსახური სხვადასხვა წყაროებიდან გვაძლევს შესაძლებლობას მოვიპოვოთ თანხები საჭირო პროექტების განსახორციელებლად.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 16

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით..

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423053103 მომართვა (რეგისტრაციის N12-25230538-25 22.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა: „აღნიშნული საკითხი იყო 31 იანვრის კომისიის დღის წესრიგში, სადაც მასზე გადაწყვეტილების მიღება გადაიდო ადგილზე გასვლის და შესწავლის მიზნით. მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გასული ვიყავით კომისიის წევრები, დავათვალიერეთ ტერიტორია და ადგილზე გავეცანით მდგომარეობას იმის შესახებ, არის თუ არა აუცილებელი ამ ტერიტორიაზე აშენდეს სამლოცველო. ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე ფუნქციონირებს ეკლესია ვთვლით, რომ აქ დამატებით კიდევ სამლოცველოს აშენება არ არის მიზანშეწონილი. ჩვენ დღეს გვესწრება მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი, რომელიც ამ საკითხზე გააკეთებს პრეზენტაციას და გთხოვთ, რომ კითხვები არსებობის შემთხვევაში პრეზენტაციის შემდეგ დავსვათ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „კითხვა მაქვს ბატონ ლაშა ადეიშვილთან, ჩვენმა ფრაქციამ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოითხოვა დოკუმენტაცია ქალაქში მიმდინარე უკანონო მშენებლობასთან დაკავშირებით, შედეგად გამოვლინდა, რომ 16

მსგავსი ტიპის დასრულებული შენობა-ნაგებობა გვაქვს, რომლებზედაც მითითებული იყო მისამართი, მაგრამ არ იყო მითითებული თუ ვის ეკუთვნოდა. ზუგდიდში თაბუკაშვილის ქუჩაზე, თავისუფალი უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, სადაც არის მშენებარე საკათედრო ტაძარი, რომელი ტერიტორიის ნაწილი 2006 წელს გადაეცა საპატრიარქოს-ნაწილი კი არა, მეუფე გერასიმეს აშენებული აქვს მოცულობით ძალიან დიდი შენობა-ნაგებობა. მაინტერესებს რატომ არ არის აღნიშნული შენობა-ნაგებობა შეტანილი უკანონო შენობის ნუსხაში. კითხვა მაქვს აგრეთვე ბატონ ირაკლი გოგოხიასთან, რომელმაც წინა კომისიის სხდომაზე აღნიშნა, რომ აღმაშენებლის გამზირზე არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას ხმას არ აძლევს, რადგან ეს მიწა მისი მერობის პერიოდში დაუბრუნდა მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, შესაბამისად მაინტერესებს ხომ არ შეუცვლია თავისი პოზიცია დღეს ამ საკითხთან დაკავშირებით. აქვე მოგახსენებთ, რომ ბატონ ირაკლის, როდესაც კახა ჩანგელიამ დაურეკა მაშინაც დაუდასტურა, რომ საკითხის დადებითად შეფასებას ხმას არ აძლევდა, თუმცა შემდეგ ადგილი ჰქონდა ბატონ კონსტანტინე კაკავასთან შეხვედრას, რომელმაც ყველა ერთად „დაგაკაჩავათ“. დანამდვილებით ვიცი, რადგან აღნიშნულ შეხვედრაზე იმყოფებოდა ბატონი დავით ფიფიაც. ასევე მინდა გითხრათ, რომ მეუფე გერასიმე არის რუსის აგენტი, რომელსაც მოწმობს 2017 წელს კრემლში მიღებაზე გადაღებული სურათი და თქვენ ამ კაცს მიაკუთვნეთ ეს ქალაქი.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, 2008 წლის მერე 30 ობიექტია გაყიდული თქვენი პარტიის ლიდერების მიერ, რომელსაც ადასტურებს ის ფაქტი, რაც რეალურად სახეზეა, ხოლო რაც შეეხება სურათებს თან წამოვიღე და გაჩვენებთ, სადაც აღბეჭდილია თქვენი ლიდერების შეხვედრა.“

(მაია კალანდიამ ამობეჭდილი სურათები დახია და შეაყარა დარბაზში მყოფ დეპუტატებს შეძახილით „თქვენ პირდაპირ ასრულებთ პუტინის დავალებას“).

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „გეთანხმებით ქალბატონო მაია, იმაში რომ კომისიის სხდომაზე აღნიშნული საკითხი შევაფასეთ უარყოფითად, შემდეგ გავედით ადგილზე და გავეცანით მდგომარეობას. იცით, რომ იქ არის ნანგრევები და განთავსებულია საპირფარეშო, სწორედ ამ ადგილის მოწესრიგებაზეა საუბარი, სადაც უნდა აშენდეს სამლოცველო. აქვე გეტყვით, რომ შევხვდით შვილმკვდარ მამებს, რომლების დაჟინებული მოთხოვნაა, რომ ამ ტერიტორიაზე აშენდეს სამლოცველო, რაც მანამდე არ ვიცოდი, შესაბამისად ამ საკითხის მიზანი არ არის ტერიტორიის საპატრიარქოსთვის გადაცემაზე. საუბარია ზუგდიდელი მოსახლეობის და ჭირისუფლების პატივისცემაზე, რამაც შემაცვლევინა აზრი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.“

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, წარმოდგენილ სურათში (იყო ფოტო ჩვენება) არ არის ნაჩვენები ის ნანგრევები, სადაც უნდა აშენდეს სამლოცველო, ანუ სურათის მიხედვით ნანგრევები სხვა ტერიტორიაზეა ამას, როგორ ახსნით.“

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „თქვენ არ ვიცი წარმოდგენილი სურათი, როგორ აღიქვით, მაგრამ გეტყვით, რომ აღნიშნულ ნახაზში ნამდვილად შედის ის ადგილი, სადაც არის ნანგრევები და სწორედ ამ ადგილზე უნდა აშენდეს სამლოცველო.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „მეგობრებო დაგვაცადეთ პრეზენტაციის ჩატარება და შემდეგ დასვით კითხვები, მოგვისმინეთ იქნებ ჩვენ მართლა ვცდებით, ან იქნებ თქვენც შეაფასოთ დადებითად აღნიშნული საკითხი განხილვის შემდეგ. ფოტოზე ხედავთ ტერიტორიას, სადაც ჩანს ღობე და კედელი, რომელიც ჰყოფს სპორტის სასახლეს. მუნიციპალიტეტი მზად არის მოხსნას ეს ღობე და მთლიანად შემოაკავოს სასაფლაო, რომ გარკვეული პერიოდის მერე არ გაივსოს ადგილი საფლავებით. მიმდებარე ტერიტორიაზე გაშენდება სკვერი, რომელსაც დავაკავშირებთ არსებულ სკვერთან და მივიღებთ რეკრეაციულ ზონას, რადგან დამეთანხმებით, რომ სპორტის სასახლის წინ არ არის სახარბიელო მდგომარეობა წმინდა რეკრეაციული თვალსაზრისით. ძირითადად ეს არის

მუნიციპალიტეტის მიზანი, დარწმუნებული ვარ, რომ სხვა უკეთეს ალტერნატივას თქვენ ნამდვილად ვერ შემომთავაზებთ.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „გადმოვიტანოთ ღობე, შედეგად დარჩენილი ტერიტორია შეუერთდება სპორტის სასახლის საერთო სივრცეს და ეს ადგილი იყოს სპორტის სასახლის რეკრეაციული ზონა, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ დარჩეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში და არ დავუბრუნოთ ისევ ეკონომიკის სამინისტროს.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ყველაფერი შესაძლებელია. კარგია შევთანხმდით იმაზე, რომ მოვაწყოთ რეკრეაციული ზონა, მაგრამ აღნიშნულ ადგილზე სამლოცველოს აშენებას ითხოვენ შვილმკვდარი დედები, მამები, ძმები, დები და რომ განხორციელდეს საპატრიარქოს მხოლოდ ამიტომ უნდა გადაეცეს ეს ტერიტორია სარგებლობაში, ეს არის საკითხის ძირითადი მიზანი.“

აზრი გამოთქვეს: მოქალაქე მ.ს-მ აღნიშნა: „ბატონო კონსტანტინე, თქვენ სპეკულირებთ ჭირისუფლებით. ეს ტერიტორია არის ჩვენი, თქვენი და მომავალი თაობის, რომელიც არ გვინდა გადავცეთ სახელმწიფოს.“

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ქალბატონო -------, მე არ ვსპეკულირებ ჭირისუფლებით. ვითვალისწინებ მათი თხოვნას, რომლის განხორციელებასაც სჭირდება შესაბამის პროცედურების გავლა.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ვთვლი, რომ მცირე სამლოცველოს აშენებას არ სჭირდება 787,0 კვ.მ მიწის ნაკვეთი. გადავცეთ მხოლოდ ის ტერიტორია, რომელიც მოიცავს სამლოცველოს, დანარჩენი კი დარჩეს მუნიციპალიტეტს საკუთრებაში.“

აზრი გამოთქვეს: თაზო ფაცაციამ აღნიშნა: „რა თქმა უნდა შესაძლებელია გადავცეთ მხოლოდ ის ნაწილი რაც დასჭირდება სამლოცველოს, მაგრამ აქ საუბარია სკვერის აშენებაზე და თუ ეპარქია ამასაც გაგვიკეთებს მუნიციპალიტეტმა რატომ უნდა დახარჯოს თანხა აღნიშნული სკვერის მოსაწყობად.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მოგახსენებთ, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას წინა კომისიის სხდომაზე არ ვესწრებოდი, შესაბამისად დღეს გავიგე, რომ საკითხის ინიციატორები ყოფილან გარდაცვლილი შვილის მამები, მაგრამ ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან სამწუხაროდ ჩვენ ინსტიტუტებს ვაიგივებთ პიროვნებებთან და ეს ჩემს პოზიციას ვერ შეცვლის. ფაქტია, რომ ინსტიტუტები, ეს იქნება რელიგიური, სახელმწიფოებრივი თუ თვითმმართველობების არ უნდა გაიგივდეს პიროვნებებთან და თუ რამე კეთდება ამ ინსტიტუტების გასაძლიერებლად ეს არ უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ინდივიდებს. ტერიტორია, რომელზედაც საუბარია მუნიციპალიტეტის საკუთრებაა და ღირებულებით ნაწილში უნდა შევაფასოთ, ანუ რამდენად რელევანტურია მუნიციპალიტეტისთვის თუნდაც საინვესტიციო ნაწილში. ვთანხმდებით იმაზე, რომ ამ კონკრეტულ ტერიტორიას მუნიციპალიტეტი ვერ გამოიყენებს საინვესტიციოდ და ასევე არ გვინდა, რომ აქ იყოს სასაფლაოები, შესაბამისად მე ვერ ვხვდები პრობლემის არსს, თუ რატომ არ შეიძლება აქ აშენდეს სამლოცველო. ჩემი რეკომენდაცია არის მხოლოდ ის, რომ მუნიციპალიტეტმა მკაცრად გააკონტროლოს აღნიშნული ტერიტორია, რომ აქ შენარჩუნდეს მწვანე ნარგავები და მოწესრიგდეს რეკრეაციულად.“

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 15:16 საათზე. კომისიის სხდომა განახლდა, 15:48 საათზე.

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „წარმოდგენილ სურათზე (ფოტოჩვენება) ნათლად ჩანს ტერიტორიის ამჟამინდელი მდგომარეობა და თუ ეს ასე დარჩება ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ გაივსება სასაფლაოებით. თუ გვინდა, რომ გვქონდეს რეკრეაციული ზონა და აღნიშნული ტერიტორია არ გაივსოს სასაფლაოებით, ეს ტერიტორია უნდა შემოვაკავოთ, რომ დავიცვათ ამ საფრთხისგან. რადგანაც ეს ადამიანები თავიანთი ხარჯებით აღნიშნულ ტერიტორიაზე ააშენებენ სამლოცველოს და მოაწყობენ სკვერს, ამაში ცუდი არაფერია. ბატონი კონსტანტინე კაკავას იდეა იყო, რომ ის ადგილი, სადაც დღეს ღობეა გავლებული

ჩავხსნათ, შეუერთოთ სპორტის სასახლის საერთო სივრცეს და განვავითაროთ, როგორც რეკრეაციული ზონა. ამაზეა საუბარი, დანარჩენი კი რა თქმა უნდა თქვენი გადასაწყვეტია."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „გეთანხმებით იმაში, რომ ეს ტერიტორია ძალიან მალე გაივსება სასაფლაოებით, მაგრამ თქვენც დამეთანხმეთ, რომ სამეგრელოში მიტაცებულ მიწაზე მიცვალებულს არავინ არ დაასაფლავებს. მოგეხსენებათ, ჩვენ გავედით ადგილზე და წარმოდგენილ სურათში არ არის ნაჩვენები ის ნანგრევები რაც რეალურად დაგვხვდა. იმ ტერიტორიაზე მინიმუმ ათი სასაფლაო მაინც ეტევა, რომელსაც თქვენ ჰყიდით, შესაბამისად ნანგრევებს შიგნით რჩება ფულის გასაკეთებელი ადგილი."

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „ჩვენ თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ აღნიშნული ტერიტორია არ გაივსოს სასაფლაოებით და გვქონდეს რეკრეაციული ზონა, თუ რჩება, ნანგრევებს შიგნით მეტი ტერიტორია, რომელიც ნახაზზე არ ჩანს, და თუ ესეც დაემატება აღნიშნულ ტერიტორიას, სადაც უნდა მოეწყოს რეკრეაციული ზონა, ვფიქრობ ქალბატონ მაიას თუ რამე პოლიტიკური ინტერესი არ აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით სადაო არაფერია."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ბატონო ბესიკ, კარგი იქნება, როდესაც მერიის წარმომადგენლები საკითხთან დაკავშირებით ჩაატარებთ პრეზენტაციას, დეპუტატებმაც უნდა მოვისმინოთ, რომ წარმოდგენილი პრეზენტაცია იყოს სრულყოფილი და ასევე არ იყოს დამატებითი კითხვები. რაც შეეხება საკითხს, ადგილზე გავალთ თუ არა ტერიტორიის შესასწავლად ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან აღნიშნული ტერიტორია სხვა ფუნქციისთვის გამოუსადეგარია, შესაბამისად ჩემი პოზიცია თქვენთვის ცნობილია და რჩება უცვლელი."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო გიგა, გარდა ამისა, რომ არ ვეთანხმები თქვენს პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით, მაინტერესებს, როგორ მიიღეთ ის რაც აღვნიშნე, რომ ნანგრევებს შიგნით რჩება სავაჭრო ადგილი, ანუ ნახაზის გარეთ არსებულ, მინიმუმ 300კვ. მიწის ნაკვეთზეა საუბარი, რომელიც სავაჭროდ იქნება გამოყენებული, ამაზე თუ გქონდათ ინფორმაცია."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, არსებობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები და მე ნამდვილად ვერავის ვერ დავაზღვევ."

აზრი გამოთქვეს: ბესიკ ჭეჟიამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, სასაფლაოებიდან როგორ შეიძლება ფული გაკეთდეს იქნებ თქვენ ამიხსნათ."

აზრი გამოთქვეს: მალხაზ თორიამ აღნიშნა: „ბატონო ლაშა, წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით გავიგეთ, რამდენი კვადრატია აღნიშნული ტერიტორია, მაგრამ მაინტერესებს განსაზღვრული გაქვთ თუ არა საზღვარი, მიჯნები. ნახაზის მიხედვით, როგორც ჩანს სამლოცველო ხეების ქვემოთ გაშენდება. ჩემი მოსაზრებით აღნიშნული ტერიტორია ნაწილობრივ კი არა მთლიანად უნდა გადავცეთ სახელმწიფოს სარგებლობაში, რომ მივიღოთ ის შედეგი, რაც გვინდა."

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა აღნიშნა: „წარმოდგენილი ნახაზის მიხედვით სამლოცველო მოექცევა ხეებს შორის."

აზრი გამოთქვეს: კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა: „ბატონო მალხაზ, რეესტრში რეგისტრირებული ნაკვეთის ფართობი შეადგენს 787,0 კვ.მ, შესაბამისად ის მთლიანად გადაეცემა სახელმწიფოს."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „რადგან წარმოდგენილი ნახაზი სადაოა, საკითხი დავაყენოთ კენჭისყრაზე, შემდეგ გავიდეთ ადგილზე ტერიტორიის შესასწავლად, ხოლო კორექტირების შემთხვევაში ამაზე ვიმსჯელოთ ბიუროს სხდომაზე."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ სხვა რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9 (გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, ბეჟან შანავა).

წინააღმდეგი: 7 (გიორგი სორდია, კახაბერ ჩანგელია, დავით ფიფია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია).

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან განმარტა, რომ

ა) დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის თანახმად კომისია განიხილავს და საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს, დასკვნებს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული კომუნალური მეურნეობის მართვის წესების დამტკიცების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თანახმად მუნიციპალიტეტს არ გააჩნია საკუთრებაში კომუნალური მეურნეობები, შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულებაში აღნიშნული ჩანაწერის არსებობა საფუძველს მოკლებულია.

ბ) დადგენილების პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები: პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“.

გ) შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა): წარდგენილი პროექტის მიღება არ გამოიწვევს საფინანსო-ეკონომიკურ ცვლილებებს;

დ) სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა): პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებებსა და ცვლილებებს საკრებულოს მიერ მიღებულ სხვა სამართლებრივ აქტებში;

ე) პროექტის ავტორი (ავტორები) და წარმდგენი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

ვ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების ზეგავლენის შეფასება: დადგენილების მიღება უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

პროექტის თანახმად;

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილებაში (www. matsne.gov.ge 04/12/2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.105.016359) და ამოღებულ იქნეს დადგენილების დანართის მე-2 მუხლის

პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არა აქვთ რაიმე შენიშვნა ან წინადადება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 16

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: დადგენილების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია